ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4216390

ნომერი: AR1636380

თარიღი : 09.10.2018

გაცემის თარიღი : 12.10.2018

გაცნობის თარიღი : 17.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გომბორი , N 46/9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ბარბაქაძე პ/ნ 01030007109
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამაზ ბარბაქაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030007109

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 56.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 40.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 197.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 111.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 85.5

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.85
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. "დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი.".: - ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს : სადემონტაჟო შენობების აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები, ფასადები და ჭრილები,) დამოწმებული შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ, აწყობილი ერთი pdf ფაილის სახით და დემონტაჟის ორგანიზაციის სამშენებლო გენ-გეგმას. აგრეთვე ველში აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.
2. წარმოსადგენია რეალური საინფორმაციო დაფა/ბანერის ფოტოსურათები (თქვენს მიერ წარმოდგენილია პროგრამაში დამუშავებული არარეალური ბანერი) გადაღებული შორი და ახლო მანძილიდან, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას.

3. თქვენს მიერ წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია. საჭიროა განახლებული, ძალაში მყოფი მინდობილობის წარმოდგენა. ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება საგადასახადო იპოთეკა, საჭიროა წამოდგენილი იქნას სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანხმობა ან განახლებული ამონაწერი, იპოთეკის გარეშე.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ხარვეზები გეცნობებათ სრულყოფილი დემონტაჟის პროექტის წარმოდგენის შემდგომ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.